საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების
მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის
ოქმი №1

ქ.საგარეჯო 16.05.2023 წელი

1. სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ

ავთანდილ გულიკაშვილი	მერი - თავმჯდომარე
ემზარ კუჭუაშვილი	მერის პირველი მოადგილე - თანათავმჯდომარე
გიორგი ლალიაშვილი	მერის მოადგილე
თინათინ ძაბილაშვილი	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი- სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
ანა ნარიმანიშვილი	ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი
მაია ფანოზიშვილი	შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი
არჩილ ჯაბადარი	განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახლგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსი
სოფიო შაქარაშვილი	ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სამსახურის უფროსი
ბექა ფეიქრიშვილი	ინფრასტრუქტურის,სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი

2. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები:
2024-2027 წლების პრიორიტეტების დასადგენად გამოკითხული მოქალაქეების კვლევის შედეგების განხილვა და პრიორიტეტების განსაზღვრა.

3. შეხვედრის განსახილველი საკითხების მიმოხილვა:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა- სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, თინათინ ძაბილაშვილმა წარმოადგინა 2024 წლის პრიორიტეტების დადგენის მიზნით მოქალაქეების მიერ შევსებული გამოკითხვის ანკეტები, ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში გამოიკითხვაში მონაწილეობა მიიღო სულ 78 მოქალაქემ, მათ შორის 39 ქალმა, გამოკითხულთა უმრავლესობის მიერ პრიორიტეტებად დასახელდა:
შიდა საუბნო გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მოწესრიგება, მოვლა-პატრონობა; სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია-მშენებლობა; სანიაღვრე სისტემის მოწესრიგება, კანალიზაცია, სარწყავი არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია;

მერმა ავთანდილ გულიკაშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის დღევანდელი პრიორიტეტების რიგითობა რეალურია და არ საჭიროებს ცვლილებას, ვინაიდან შეესაბამება მოქალაქეების ინტერესებს.

4. სამუშაო ჯგუფის შეთანხმება

შეხვედრაზე დამსწრე სამუშაო ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი შედგენილი იქნეს მოქალაქეების მიერ მოთხოვნილი ღონისძიებების გათვალისწინებით და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების რიგითობა განისაზღვროს :

1. ინფრასტრუქტურის განვითარება;
2. დასუფთავება და გარემოს დაცვა;
3. განათლება;
4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

სხდომის თავმჯდომარე:	ავთანდილ გულიკაშვილი
სხდომის მდივანი:	ანა ნარიმანიშვილი
მერის პირველი მოადგილე:	ემზარ კუჭუაშვილი
მერის მოადგილე:	გიორგი ლალიაშვილი
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი- სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი:	თინათინ ძაბილაშვილი
შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი:	მაია ფანოზიშვილი
განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახლგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსი:	არჩილ ჯაბადარი
ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სამსახურის უფროსი:	სოფიო შაქარაშვილი
ინფრასტრუქტურის,სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი :	ბექა ფეიქრიშვილი